

სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

2011 წლის 13 დეკემბერს განხილული საქმეების მოკლე მიმოხილვა

• ბარაჩი და სხვები მონტენეგროს წინააღმდეგ – განაცხადი №47974/06

აპლიკანტები არიან მონტენეგროს მოქალაქეები და ცხოვრობენ დანილოვგრადში (მონტენეგრო). კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილზე დაყრდნობით ისინი ჩივიან, რომ მათი საქმე ადგილობრივი სასამართლოების მიერ არასამართლიანად იქნა განხილული და ასევე, არ მიეცათ ადეკვატური კომპენსაცია, რომელიც უნდა დაკისრებოდა მათ დამპირავებულს 2006 წლის აპრილში. განსაკუთრებით ისინი ჩივიან, რომ მათ საქმეზე მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება ეფუძნებოდა ისეთ აქტს, რომელიც 2006 წლის თებერვალში არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი და აღარ იყო ძალაში საქმის განხილვის დროს.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს თითოეული აპლიკანტის სასარგებლოდ დაეკისრა 202.34 ევროს გადახდა, ხოლო 4.405 ევროს გადახდა ართობლივად ხარჯებისა და დანახარჯების დასაფარად.

• ლაკიჩევიჩი და სხვები მონტენეგროსა და სერბეთის წინააღმდეგ – განაცხადები №27458/06, 37205/06, 37207/06 და 33604/07

აპლიკანტები არიან მონტენეგროს მოქალაქეები. ორი მათგანი ცხოვრობს ჰერცეგ-ნოვიში, ხოლო დანარჩენი ორი პოდგორიცაში (მონტენეგრო). ისინი არიან უკვე პენსიონერები, რომლებიც ადრე საკუთრებაში ფლობდნენ კერძო იურიდიულ ფირმებს. განმცხადებლები ჩივიან 2004-2005 წლებში გაუცემელი საპენსიო თანხების გამო, რაც გამოწვეული იყო იმით, რომ მათ ამ პერიოდში განაახლეს იურიდიული საქმიანობა ნახევარი განაკვეთით. განმცხადებლები ჩივიან, რომ დაირღვა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლი

სასამართლომ დაადგინა კონვენციის პირველი ოქმის I მუხლის დარღვევა. განმცხადებლებმა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად მიაკუთვნა 4000 და 8000 ევროს ოდენობის თანხა, ხოლო არამატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად თითოეულს მიაკუთვნა 4000 ევრო.

• კრიუკი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №11769/04

აპლიკანტი რუსეთის მოქალაქეა, დაიბადა 1975 წელს და ცხოვრობს მოსკოვში. ის ჩივის, რომ მის წინააღმდეგ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, რადგან 1997 წლის აგვისტოდან 2003 წლის იანვრამდე პერიოდში მას ამყოფებდნენ არაადამიანურ და დამამცირებელ პირობებში მოსკოვის ციხეში ყოფნისას. 2003 წლის სექტემბერში ის ბრალდებულად სცნეს და მიუსაჯეს შვიდი წლით პატიმრობა. განმცხადებელი ასევე ჩივის, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, საქმის გაჭიანურებით განხილვის გამო, რადგან სისხლის სამართლის საქმის განხილვა მიმდინარეობდა ხუთი წლის განმავლობაში.

სასამართლომ დარღვეულად მიიჩნია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და სახელმწიფოს აპლიკანტი სასარგებლოდ დააკისრა 2.400 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანისათვის, ხოლო 300 ევროს გადახდა ხარჯების დასაფარად.

- **ვასილიევი და კოვტუნი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №13703/04**

აპლიკანტები რუსეთის მოქალაქეები არიან და ცხოვრობენ სანქტ-პეტერბურგსა და სოსნოვი ბორში. საქმე ეხება განმცხადებლების მიერ საზღვარგარეთიდან ჩამოტანილი ავტომანქანების კონფისკაციასა და გაყიდვას, ასევე ადგილობრივი სასამართლოების მიერ კომპენსაციის მოთხოვნაზე უარის თქმას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი. მატერიალური ზიანის დასაფარად სახელმწიფოს დაეკისრა 8000 ევროსა და 10000 ევროს გადახდა აპლიკანტების სასარგებლოდ. ასევე, 5000 ევროს გადახდა ერთობლივად არამატერიალური ზიანის დასაფარად, ხოლო 1000 ევროს გადახდა თითოეული აპლიკანტისათვის ხარჯების დასაფარად.

- **ლადუნა სლოვაკეთის წინააღმდეგ – განაცხადი №31827/02**

აპლიკანტი სლოვაკეთის მოქალაქეა და დაიბადა 1973 წელს. იგი ამჟამად სამუდამო სასჯელს იხდის ლეოპოლდოვის ციხეში (სლოვაკეთი). საქმე ძირითადად ეხება მის საჩივარს 2001 წლის სექტემბრიდან 2006 წლის თებერვლამდე პერიოდში პატიმრობას. კერძოდ პატიმრობის პირობებს, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ სხვა პატიმრებისაგან განსხვავებით მას შეზღუდული ჰქონდა ოჯახთან შეხვედრის უფლებები, ტელევიზორის ყურება სხვა პატიმრებთან ერთად, ასევე სხვებთან შედარებით მნახველებთან შეხვედრის ვადა იყო ხანმოკლე.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-14 მუხლი მე-8 მუხლთან მიმართებაში, ხოლო არ დარღვეულა მე-13 მუხლი და პირველი ოქმის I მუხლი. სამართლიანი დაკმაყოფილების სახით განმცხადებელს მიაკუთვნა 9000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის, ხოლო 600 ევრო ხარჯების დასაფარად.

- **ვალბუენა რედონდო ესპანეთის წინააღმდეგ – განაცხადი №21460**

აპლიკანტი სანტიაგო რედონდო ესპანეთის მოქალაქეა და ცხოვრობს ვალიადოლიდში. მას ბრალი ედებოდა სახელმწიფო ხაზინის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებებში. კერძოდ, არ დააბრუნდა გადასახადები, რომელსაც ზედ დარიცხული ჰქონდა ასევე დამატებითი პროცენტი. პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმის საჯაროდ განხილვისას ბრალდებულის გაამართლა. სახელმწიფო საბჭომ ეს გადაწყვეტილება გაასაჩივრა Audiencia Provincial-ში, სადაც აპლიკანტი საჯარო განხილვების გარეშე სცნეს ბრალდებულად. აპლიკანტი ჩივის, რომ მას არ მიეცა Audiencia Provincial-ში განხილვების შესაძლებლობა.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი. სახელმწიფოს დაეკისრა 8000 ევროს გადახდა არამატერიალური ზიანისათვის, ხოლო 5000 ევრო ხარჯების დასაფარად.

ანალოგი საქმეები

- *ბურჯა და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადები №55349/07, 16968/09, 19750/09, 32465/09 და 39377/09*

აპლიკანტები ჩივიან მათ სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, რომელიც ეხებოდა 1940 წელს კონფისკაციას დაქვემდებარებული საკუთრების დაბრუნებას, ან შესაბამისი კომპენსაციის მიღებას.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, პირველი ოქმის I მუხლი და კონვენციის მე-13 მუხლი.

- *ოიოგი და სხვები მოლდოვას წინააღმდეგ – განაცხადი № 1988/06*

აპლიკანტები ჩივიან მათ სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების გამო, რომელიც ეხებოდა მათი იძრავი ქონების დაბრუნებას საქმის ხელახალი გადასინჯვის გზით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

- *კოკურხაიევი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №46356/09*
- *ტრუდოვი რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი №4333/09*

აპლიკანტები ჩივიან, რომ მათ არ ეცნობათ დრო და ადგილი სააპელაციო განხილვებისა, რომელიც გაიმართა მხოლოდ პროკურატურის წარმომადგენელთა თანდასწრებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ კოკურხაიევის საქმეზე არ დარღვეულა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი, ხოლო ტრუდივის საქმეზე დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.

- *როუნიატოვსკაია რუსეთის წინააღმდეგ – განაცხადი № 35002/05*

აპლიკანტი ყოფილი სამხედრო ოფიცერია, რომელიც ჩივის მის სასარგებლოდ გამოტანილი გადაწყვეტილების აღუსრულებლობას, საბრძოლო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობისათვის კომპენსაციის მიღებასთან დაკავშირებით.

სასამართლომ დაადგინა, რომ დაირღვა კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი და პირველი ოქმის I მუხლი.

- აბდურაჰმან ილდირიმი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №53329/08
- ბილგინ და იორსელი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №41166/05
- კოშკუნი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №35561/05
- დომანიჩი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №14738/06
- გერჩეკი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54223/08
- გეზგენი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №53323/08
- გიოკჩე თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54227/08
- გიულსოი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №3875/06
- გიუმიუში თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №41150/05
- ჰალისე ტუნჩელი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №29666/06
- კახანლარი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54170/08
- მესხი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №14030/06
- მუსტაფა ტუნა თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი № 14935/06
- იოზკარა და ტელი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №533339/08
- სავმაზი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54154/08
- შენირმაკი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №4631/06
- ტაკტაკოღლუ თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54250
- ზარდალი თურქეთის წინააღმდეგ – განაცხადი №54173

აღნიშნულ საქმეებში აპლიკანტები ჩივიან ადმინისტრაციული ხელისუფლების მხრიდან მათ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების დაკავების გამო რამდენიმე წლის განმავლობაში ყოველგვარი საბუთის გარეშე. ისინი ასევე ჩივიან საქმის გაჭიანურებით განხილვის თაობაზე და კომპენსაციის მიუღებლობაზე, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილებით დადგინდა.

სასამართლომ ყველა ზემოხსენებულ საქმეზე დაადგინა, რომ დარღვეულია კონვენციის მე-6 მუხლის I ნაწილი.